

უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტრო

რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტი

N3698/OKEK/2021

ვერბალური ნოტა

უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტრო გამოხატავს თავის პატივისცემას საქართველოს საელჩოსადმი და საელჩოს N61/5538 ვერბალური ნოტისა და ბატონი ზაალ კაპანაძის წერილის პასუხად, რომელიც ეხება უნგრეთში კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო სინოფარმის ვაქცინის დამტკიცების მექანიზმს, სამინისტროს აქვს პატივი, გაცნობოთ უნგრეთის ადამიანური რესურსების სამინისტროს კომპეტენტური დეპარტამენტის პასუხი.

„ევროკავშირის გარეთ, ე.წ. „მესამე ქვეყანაში“ წარმოებული ვაქცინების, აღნიშნულ შემთხვევაში სინოფარმის, გამოყენებაზე ნებართვას გასცემს უნგრეთის ფარმაციისა და კვების ეროვნული ინსტიტუტი. ვაქცინის ავტორიზაციის საფუძველს წარმოადგენს უნგრეთის მთავრობის N488/2020 (XI 11.) განკარგულება გადაუდებელი მედიკამენტების უსაფრთხო მომარაგების ზომების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) გარეთ ნებადართული სამედიცინო პროდუქტების უნგრეთში შემოტანისა და გამოყენების იურიდიულ საფუძველს. სამედიცინო პროდუქტის გამოყენების ნებართვა გაიცემა 6 თვით, დამატებითი 6 თვიანი პერიოდის გაგრძელების პერსპექტივით.

მთავრობის განკარგულების თანახმად, ფარმაციისა და კვების ეროვნული ინსტიტუტი ვაქცინის ფარმაცევტული ხარისხის, ეფექტურობისა და უსაფრთხოების შემოწმების შემდეგ გასცემს ლიცენზიას. ვაქცინის ავტორიზაციის შესახებ ფარმაციისა და კვების ეროვნული ინსტიტუტის გადაწყვეტილება ემყარება უნგრეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიულ შედეგებს, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნება ლაბორატორიულ ექსპერტიზას. მას შემდეგ, რაც ვაქცინა გაივლის შემოწმებას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, დადებითი დასკვნის შემდეგ, ვაქცინის მოხმარება დაშვებულია. ის ვაქცინები, რომლებიც უკვე გამოიყენება ევროპის ეკონომიკურ სივრცეში (EEA), ასევე დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, აღარ საჭიროებენ უნგრეთში დამატებით შემოწმებასა და ნებართვას.

მთავრობის 2021 წლის 28 იანვარის დადგენილების თანახმად (მთავრობის N488/2020 დადგენილებაში განხორციელებული N19/2021 (I. 28.) ცვლილება), კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, უნგრეთში დაშვებულია იმ ვაქცინების გამოყენება, რომლებიც ლიცენზირებულია არსებითი შეფასების გარეშე; ან გამოიყენება ევროკავშირის რომელიმე წევრ ან კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყანაში; ან აღნიშნული ვაქცინით უკვე აცრილია მინიმუმ ერთი მილიონი ადამიანი. ზემოაღნიშნული მონაცემების დადასტურებას

ახდენს უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტრო. სინოფარმის ვაქცინის შემოტანის და გამოყენების ნებართვა უნგრეთის ფარმაციისა და კვების ეროვნულმა ინსტიტუტმა გასცა მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე.“

უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა კვლავ განუახლოს საქართველოს საელჩოს თავისი ღრმა პატივისცემა.

ბუდაპეშტი, 11 მარტი, 2021 წელი.